

თავი 6

კონტროლის და ანალიზის ინსტრუმენტები


ანგარიშების ღირებულება (ნაშთები, ბრუნვები, ბარათი, სახეობები)


ყოველი გატარება გარკვეულ ცვლილებას ახდენს ანგარიშებზე. ვინაიდან, რა ცვლილებები გამოიწვია ანგარიშებზე, ჩვენს მიერ წინა თავში შესრულებულმა გატარებებმა. ამისათვის, გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა. იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	წესი	რასაკლებსა	შენიშვნა	დამაბი	კომიბი	დამაბი	კომიბი	საქვია
1000	კაპ	მომხმარებელი		7,000.00				
1100	კაპ	ბალის დროის საკონტო		1,000.00				
1110	კაპ	ბალის დროის დროულად კაპ		1,000.00				
1120	კაპ	ბალის დროის უბრუნო კაპ						
1200	კაპ	დროის საბაზო ანგარიშები		6,000.00				
1210	კაპ	დროის საბაზო კომიბი						
1210 3	კაპ	123456789 - კომიბი, სს		4,000.00				
1210 4	კაპ	456789123 - კომიბი, სს		2,000.00				
1220	კაპ	დროის საბაზო კომიბი						
მჯამი:		ბალანსი		7,000.00		7,000.00		


როგორც ხედავთ, თავიდანვე გააქტიურებულია ბარათი “სასტატო ნაშთები”, სადაც ანგარიშებზე დასმული სასტატო ნაშთები უცვლელია. აირჩიეთ ბარათი “ნაშთები”:

ანგარიში	რასაკლებსა	შენიშვნა	დამაბი	კომიბი	დამაბი	კომიბი
1000	მომხმარებელი		14,266.00			
1100	ბალის დროის სს		330.00			
1110	ბალის დროის 3		330.00			
1200	დროის საბაზო		8,006.00			
1210	დროის საბაზო კაპ		8,006.00			
1210 3	123456789 - კ		8,006.00			
1210 4	456789123 - კ		2,000.00			
1400	მომხმარებელი			70.00		
1410	მომხმარებელი					
1410 4	სს "ნაპო"					
1430	მომხმარებელი			70.00		
1430 0001	ქაპიტალიზაცია			70.00		
1600	საბაზო		6,660.00			
1610	საბაზო		6,660.00			
1610 1	საბაზო		6,590.00			
1610 1 1	ორგანიზაცია		8,500.00			
1610 1 1 1	ორგანიზაცია		2,100.00	700.00	3,000.00	
1610 1 1 2	ბაზი		1,800.00	900.00	2,000.00	
1610 1 1 3	ორგანიზაცია		2,600.00	866.67	3,000.00	
1610 1 2	საბაზო		80.00			
1610 1 2 1	ბაზის ბალანსი		80.00	4.00	20,000.00	
1610 2	ბაზის		80.00			
1610 2 0	ბაზის ბალანსი		80.00	4.00	20,000.00	
3000	მომხმარებელი		478.80			
მჯამი:						

როგორც ეკრანზე ხედავთ, ანგარიშებზე ასახულია შესრულებული გატარებების შედეგად მიღებული საბოლოო მდგომარეობა. აგრეთვე ხედავთ, რომ ეკრანის ზედა მარჯვენა ნაწილში მონიშნულია ველი **“ვალუტა”** და გააქტიურებულ ველში ზის ლარის აბრევიატურა. რაც ნიშნავს, რომ ეკრანზე გამოტანილია მხოლოდ ლარში შესრულებული გატარებების საბოლოო ნაშთები. სხვა ვალუტაში შესრულებული გატარებების ნაშთების სანახავად, ზემოთ აღნიშნული ველის გასწვრივ  - ღილაკის დახმარებით უნდა აირჩიოთ სასურველი ვალუტა. რის შემდეგაც ეკრანზე იხილავთ, თქვენს მიერ არჩეულ ვალუტაში შესრულებული გატარებების შედეგებს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამასთან ერთად გინდათ დაინახოთ, ამ შედეგების ექვივალენტური ნაშთებიც (ეს ნაშთები გამოითვლება გატარებების შესრულების დროს მითითებული კურსების მიხედვით), ამისათვის, ეკრანის მარჯვენა ქვედა კუთხეში უნდა მონიშნოთ ველი **“ექვ.”**:




ერთდროულად ყველა ვალუტაში შესრულებული გატარებების შედეგებს ნახავთ ნაშთების ნაერთ უწყისში. ამისათვის, უნდა მონიშნოთ ველი **“ნაერთი”**:



ამ შემთხვევაში, პროგრამა, სხვადასხვა ვალუტაში შესრულებული გატარებების შედეგებს გაჩვენებთ ბაზურ ვალუტასთან მიმართებაში, გატარებების თარიღებისთვის დაფიქსირებული კურსების მიხედვით.

ხოლო თუ თქვენ მონიშნავთ ველს **“ბრუნვის საბოლოო ნაშთი კროსკურსით”**, მის გვერდით გააქტიურდება ველი, სადაც შეგეძლება აირჩიოთ ის ვალუტა, რომელშიც გაინტერესებთ ეკრანზე გამოტანილი ნაშთები, მაგალითად, **USD**. ამ შემთხვევაში პროგრამა ნაშთებს გაჩვენებთ ვალუტის მიმდინარე კურსის მიხედვით:



ყველა ზემოთ მოყვანილ ეკრანზე არის კიდევ ველი **“პროექტი”**, რომელშიც ავტომატურად მითითებულია **“მთ.წიგნი”**. ეს პროექტი თავიდანვე ჩადებულია პროგრამაში. ჩვენი შემთხვევისთვის პროექტის

შეცვლა არ არის საჭირო, რადგანაც ჩვენი ყველა გატარება მარტო "მთ.წიგნი" - სთვის არის შესრულებული. მაგრამ, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, სისტემა გაძლევთ საშუალებას შესარულოთ გატარებები სხვადასხვა პროექტისთვის და საბოლოო შედეგებიც შეგიძლიათ იხილოთ, როგორც ცალკეული პროექტებისთვის, ასევე ერთდროულად რამოდენიმე ან ყველა პროექტისთვის (სხვადასხვა პროექტების შექმნა და გატარებების შესრულება დაწვრილებით განხილულია მე-8 თავში "პროექტები").

ნაშთების ეკრანში განხილულ ყველა ველს: "ვალუტა", "ნაერთი", "ექვ.", "ბრუნვის საბოლოო ნაშთი კროსკურსით" და "პროექტი", ქვემოთ მოყვანილ ეკრანებშიც იგივე დანიშნულება აქვთ.

ნაშთების ეკრანზე, როგორც აღვნიშნეთ, ანგარიშებზე ასახულია საბოლოო მდგომარეობა. მაგალითად, ანგარიშზე 1610 - საქონელი, ნაშთი ლარებში არის - 6660. თუ დაგაინტერესებთ ამ ნაშთის ან სხვა რომელიმე ანგარიშის ნაშთის გაშიფვრა, ამისათვის, უნდა აირჩიოთ ბარათი "ბრუნვები":

ანგარიში	მანკა/გადახდა	საქონელი	პროცენტი	პროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი
1000	გადახდილი	7,000.00	14,200.00	8,400.00	8,400.00	19,440.00			
1100	გადახდილი	1,000.00	70.00	1,400.00	1,330.00		330.00		
1110	გადახდილი	1,000.00	70.00	1,400.00	1,330.00			330.00	
1200	პროცენტები	6,000.00	3,600.00	650.93	3,188.07	8,188.07			
1210	პროცენტები	6,000.00	2,006.00	2,006.00	2,006.00	8,006.00			
1210-1234567891-2		4,000.00	2,006.00		2,006.00	6,006.00			
1210-4567891230-2		2,000.00				2,000.00			
1220	პროცენტი		1,830.00	650.93	1,179.07	1,179.07			
1400	პროცენტი		2,006.00	2,076.00	70.00		70.00		
1410	პროცენტი		2,006.00	2,006.00					
1410-03-04-05			2,006.00	2,006.00					
1430	პროცენტი			70.00			70.00		
1430-03-04-05-06				70.00			70.00		
1600	საპროცენტი		8,340.00	1,680.00	6,660.00	6,660.00			
1610	საპროცენტი		8,340.00	1,680.00	6,660.00	6,660.00			
1610-03-04-05			8,260.00	1,680.00	6,580.00	6,580.00			
1610-03-04-05-06			8,180.00	1,680.00	6,500.00	6,500.00			

ამ ეკრანიდან შეიძლება იმის გარკვევა, რომ 1610 ანგარიშზე, მითითებული დიაპაზონისთვის, საწყისი ნაშთი არ ყოფილა, შემდეგ იყო სადებეტო ბრუნვა - 8340 ლარი, ხოლო საკრედიტო ბრუნვა - 1680 ლარი, და რადგანაც სადებეტო ბრუნვა მეტი იყო, საბოლოოდ დარჩა სადებეტო ნაშთი $8340 - 1680 = 6660$ ლარი. აქედან გამომდინარე ბრუნვები გვაჩვენებს ჯამურ ინფორმაციას. თუ დაგაინტერესებთ, საიდან წარმოდგება ანგარიშზე ეს ჯამი, ამისათვის, უნდა მონიშნოთ ეს ანგარიში და აირჩიოთ "ბარათი":

თარიღი	ანგარიში	საპროცენტი	პროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი	საპროცენტი
24.02.2006	2 3110 3	შპს "ბიჭო"	4	160.00			160.00		
24.02.2006	2 3110 2	შპს "ბიჭო"	4	2,400.00			2,560.00		
25.02.2006	4 3110 3	შპს "ბიჭო"	4	1,800.00			4,360.00		
26.02.2006	3 7210	ბაზრისთვის	4		1,600.00		2,760.00		
26.02.2006	5 1610 1 2 00004	ვატან კახაია	3	80.00			2,840.00		
26.02.2006	5 1610 2 00004	ვატან კახაია	3		80.00		2,760.00		
26.02.2006	89456 3110 3	შპს "ბიჭო"	4	1,900.00			4,560.00		
26.02.2006	89456 3110 3	შპს "ბიჭო"	4	2,100.00			6,660.00		
1.01.2007	საპროცენტი			8,340.00	1,680.00		6,660.00		


ამ ეკრანზე უკვე დეტალურად არის მოცემული, თუ რა გატარებები შესრულდა მოცემულ ანგარიშზე, რომელ ანგარიშებთან ჰქონდა კორესპონდენცია, რა თარიღებში და ყოველი შესრულებული გატარების შემდეგ ნაზარდი ჯამის სახით როგორი საბოლოო შედეგი იქნა მიღებული.


თუ ფინანსურ ნაშთებთან ერთად გაინტერესებთ ანგარიშის რაოდენობრივი ნაშთებიც, ამისათვის, ეკრანის ქვედა მარჯვენა ნაწილში უნდა მონიშნოთ ველი "სასაქონლო ბრუნვები". რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი ველები, სადაც მოცემული იქნება ანგარიშის რაოდენობრივი ბრუნვები.

ველში "ანგარიში", ღილაკებით ან შეგიძლიათ აირჩიოთ სხვა რომელიმე, თქვენთვის სასურველი ანგარიში, რის შემდეგაც ეკრანზე იხილავთ ამ ანგარიშის ბარათს.

ანგარიშის ბარათის ეკრანის ინსტრუქციების პანელზე, მოცემულია ახალი გატარების დამატების, არსებულის კორექტირების და წაშლის ღილაკები. რაც გულისხმობს, რომ აქაც შეიძლება ახალი გატარებების შესრულება, არსებულის კორექტირება და წაშლა იგივენაირად, როგორც ძირითადი გატარებების ეკრანში. ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ამ ეკრანში ახალი გატარების დამატება, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გატარების სადებეტო ან საკრედიტო ველში მონაწილეობს ბარათის ანგარიში. მაგალითად, ჩვენი შემთხვევისთვის, გატარების სადებეტო ან საკრედიტო ველში უნდა მონაწილეობდეს 1610 ანგარიშის რომელიმე ქვეანგარიში. სხვა შემთხვევაში პროგრამა არ მოგცემთ ამ ეკრანში გატარების შესრულების საშუალებას.

ანგარიშის ბარათის ეკრანის ქვედა ნაწილში გაჩნდა ღილაკი -


 რომლის არჩევითაც ეკრანზე იხილავთ არჩეული ანგარიშის ბარათის გრაფიკულ სახეს:



ეკრანის ზედა ნაწილში მოთავსებული ღილაკების საშუალებით შეგიძლიათ შეცვალოთ გრაფიკის ფორმა, განზომილება და სათაური. ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ OK - ს.

“ბარათი” - ს არჩევის შემდეგ აგრეთვე შეამჩნევდით, რომ ეკრანზე გამოჩნდა სხვა ბარათებიც: “ორდერი”, “ანგარიშის ამონაწერი” და “საბალანსო ანგარიშის ბარათები”. “ორდერი” - ს არჩევით იხილავთ ეკრანს:

მთელი	მფ. ანგარიში	დასაბრუნებელი	ფინანსური პოვნა	ფინანსური ნაწი	პროცენტული პოვნა	პროცენტული ნაწი
2.01.2006	3000	ფინანსური პოვნა	2,560.00		43,000	
24.02.2006	3100	ფინანსური პოვნა	2,560.00		43,000	
	3110	ფინანსური პოვნა	2,560.00		43,000	
	3111	ფინანსური პოვნა	2,560.00		43,000	
25.02.2006	3000	ფინანსური პოვნა	1,800.00		2,000	
	3100	ფინანსური პოვნა	1,800.00		2,000	
	3110	ფინანსური პოვნა	1,800.00		2,000	
	3111	ფინანსური პოვნა	1,800.00		2,000	
28.02.2006	1000	ფინანსური პოვნა	80.00		20,000	
	1600	საბალანსო ბარათი	80.00		20,000	
	1610	საბალანსო ბარათი	80.00		20,000	
	11	საბალანსო ბარათი	80.00		20,000	
	11	საბალანსო ბარათი	80.00		20,000	

ამ შემთხვევაში, პროგრამა გაჩვენებთ ანგარიშის 1610, დეტალურ საბოლოო შედეგებს, დაჯამებულს და დალაგებულს ერთი დღის წრილში, რადგანაც ეკრანზე ისრით ნაჩვენებ ველში მითითებულია “დღე”. მაგრამ, თქვენ შეგიძლიათ  - ღილაკის დახმარებით აირჩიოთ სხვა დიაპაზონი:

ღღე

- ღღე
- საბოლოო დღე
- კვირა
- დეკადა
- თვე
- კვარტალი
- წელი

რის შემდეგაც პროგრამა გაჩვენებთ ანგარიშის ორდერს, არჩეული დიაპაზონის წრილში.

თუ აირჩევთ ბარათს “ანგარიშის ამონაწერი”. ეკრანზე იხილავთ 1610 ანგარიშის ამონაწერს, სადაც ეკრანის ზედა ნაწილში იქნება მოცემული ამ ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების დეტალური საბოლოო ნაშთები, ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში, ნმარდი ჯამის სახით მიღებული საბოლოო ნაშთები:

საბანკო	დასაბრუნებელი	ფინანსური პოვნა	ფინანსური ნაწი
1000	ფინანსური პოვნა	0.00	0.00
1600	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
1610	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
1610 1	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
1610 1 2	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
1610 1 2 რეაგირება	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
3000	ფინანსური პოვნა	0.00	0.00
3100	ფინანსური პოვნა	0.00	0.00
3110	ფინანსური პოვნა	0.00	0.00
3110 3	ფინანსური პოვნა	0.00	0.00
7000	საბალანსო ბარათი	0.00	0.00
			1,600.00

მთელი	საბანკო	დასაბრუნებელი	ფინანსური პოვნა	ფინანსური ნაწი
24.02.2006	3110 3	GEL	160.00	0.00
24.02.2006	3110 3	GEL	2,400.00	0.00
25.02.2006	3110 3	GEL	1,800.00	0.00
26.02.2006	7210	GEL	1,600.00	0.00
28.02.2006	1610 1 2 200004	GEL	80.00	0.00
28.02.2006	3110 3	GEL	1,800.00	0.00
28.02.2006	3110 3	GEL	2,100.00	0.00
	ჯამი		8,340.00	0.00
			1,600.00	0.00
			8,340.00	0.00

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აირჩევთ ბარათს “საბალანსო ანგარიშის ბარათები”, იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მასაჩივება	საჩივრო	მონაკ	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც
1610	საპროც		8,340.00	1,880.00	6,860.00	6,860.00				
1610 1	საპროც		8,340.00	1,880.00	6,860.00	6,860.00				
1610 1 1	კონსტრუქცია		8,100.00	1,600.00	6,500.00	6,500.00				
1610 1 1 00001	კონსტრუქცია		2,100.00		2,100.00	2,100.00				3
1610 1 1 00002	ვაჭარ		1,800.00		1,800.00	1,800.00				2
1610 1 1 00003	კონსტრუქცია		4,200.00	1,600.00	2,600.00	2,600.00				5
1610 1 2	საკანცელარია		160.00	80.00	80.00	80.00				
1610 1 2 00004	ვაჭარ		160.00	80.00	80.00	80.00				40
1610 2	ვაჭარ		80.00		80.00	80.00				
1610 2 00004	ვაჭარ		80.00		80.00	80.00				20

სადაც, ეკრანის ზედა ნაწილში მოცემულია ტიპური ბრუნვითი უწყისი, ხოლო ქვედა ნაწილში 1610 - ის ქვეანგარიშებზე, თითოეული ბრუნვის დეტალური გამოფერა.

მიღებული ნაშთებიდან ჩანს, რომ მაგალითად, საქონელი - ფაქსის ქალაქი, გვაქვს საწყობშიც - 2 ყუთი 80 ლარის ღირებულების და მალაზიაშიც - 2 ყუთი 80 ლარის ღირებულების. მაგრამ არ ჩანს მისი საერთო ღირებულება და რაოდენობა. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში მარტივად შეიძლება ამ რიცხვების შეკრება და ჯამის გამოანგარიშება, მაგრამ ეს გზა მოუხერხებელია იმ შემთხვევაში, როცა სასაქონლო ანგარიშების რაოდენობა დიდია და ერთი და იგივე საქონელი გახსნილია რამდენიმე ანგარიშზე (მაგალითად, რამოდენიმე საწყობის და მალაზიის შემთხვევაში).

ასეთი შემთხვევებისთვის, პროგრამაში არის ბარათი "სახეობები", რომლის არჩევს შემდეგ იხილავთ ეკრანს:

ანგარიში	მასაჩივება	საჩივრო	მონაკ	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც
0000 4	ვაჭარ		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1000	მშენებლობა		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610	საპროც		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610 1	საპროც		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610 1 2	საკანცელარია		160.00	80.00	80.00	80.00				20,000
1610 2	ვაჭარ		160.00	80.00	80.00	80.00				20,000
1610 2 00004	ვაჭარ		80.00		80.00	80.00				20,000

როგორც ხედავთ, ეკრანის ზედა მარჯვენა ნაწილში განლაგებულია პროგრამაში არსებული ოთხივე სახეობის შესაბამისი ლილავები:

- სასაქონლო სია, - ორგანიზაციების სია, - კადრების

სია, - ბანკების სია. აქედან გამომდინარე, ეს ეკრანი ერთნაირად გამოიყენება ოთხივე სახეობის ანგარიშებისთვის. თავიდანვე გააქტიურებულია სასაქონლო ანგარიშის ლილავი, ამას ადასტურებს კიდევაც ეკრანის მარჯვენა ზედა ნაწილში მდებარე ველი "სასაქ.კოდი". დააჭირეთ მის გვერდით მოთავსებულ ლილავს - , რის შემდეგაც იხილავთ სასაქონლო სიას:

კოდი	მასაჩივება	ჯამი	პროც	ფასი	ანგარიში	საპროც	რეაქციონა
00001	საბაზისური მოსახლეობა	ცალი		0.0000			
00002	კონსტრუქცია	ცალი		0.0000			
00003	ვაჭარ	ცალი		0.0000			
00004	ვაჭარ	ცალი		0.0000			
00005	კონსტრუქცია	ცალი		700.0000			


რადგან ჩვენი მაგალითისთვის გვინტერესებს საქონელი - ფაქსის ქალაქი, მონიშნეთ იგი და დააჭირეთ ლილავს - OK. იხილავთ ეკრანს:


ანგარიში	მასაჩივება	საჩივრო	მონაკ	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც	საპროც
0000 4	ვაჭარ		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1000	მშენებლობა		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610	საპროც		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610 1	საპროც		240.00	80.00	160.00	160.00				40,000
1610 1 2	საკანცელარია		160.00	80.00	80.00	80.00				20,000
1610 2	ვაჭარ		160.00	80.00	80.00	80.00				20,000
1610 2 00004	ვაჭარ		80.00		80.00	80.00				20,000

სადაც, უკვე ნათლად ჩანს მთლიანობაში რა მდგომარეობაა არჩეულ საქონელზე. ანუ რამდენი ფაქსის ქალაქია ცალ-ცალკე საწყობში და

მაღზიაში და მთლიანობაშიც, კერძოდ გვაქვს - 160 ლარის ღირებულების 40 ცალი ფაქსის ქაღალდი.



ზუსტად ანალოგიურად შეგიძლიათ ნახოთ დანარჩენი სახეობებიც. ამიტომ მათ აღარ განვიხილავთ.


შეამჩნევდით, რომ ყველა ზემოთ განხილულ ეკრანზე (ნაშები, ბრუნვები, ბარათი, ორდერი, ანგარიშის ამონაწერი, სახეობები) არის ბეჭდვის ღილაკი - . რაც ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი ეკრანის ინფორმაცია დაბეჭდოთ დოკუმენტად. მაგალითად, ბრუნვითი უწყისის დასაბეჭდად, აირჩიეთ ბეჭდვის ღილაკი შესაბამის ეკრანში. იხილავთ პატარა ეკრანს:




სადაც იმისათვის, რომ ნაბეჭდი ფორმა პრინტერზე გაშვებამდე ვერ იხილოთ ეკრანზე, მონიშნეთ ველი "ეკრანზე" და დააჭირეთ OK - ს:

ანგარიში	ფასობა	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი
1000	მთლიანი ზრდა	7,000.00		14,250.00	5,500.00	6,445.00	19,445.00
1100	საბიჯი ფაქსი/საბიჯი	1,000.00		70.00	1,400.00	1,330.00	
1110	საბიჯი ფაქსი/საბიჯი	1,000.00		70.00	1,400.00	1,330.00	3
1200	ფაქსი/საბიჯი	6,000.00		2,000.00	650.00	3,185.00	9,185.00
1210	ფაქსი/საბიჯი	6,000.00		2,000.00	2,000.00	2,000.00	
1210 3	ფაქსი/საბიჯი	1,000.00		2,000.00	2,000.00	6,000.00	
1210 4	ფაქსი/საბიჯი	2,000.00				2,000.00	
1220	ფაქსი/საბიჯი			70.00	650.00	1,170.00	
1400	ფაქსი/საბიჯი	2,000.00		2,000.00	70.00		1,170.00
1410	ფაქსი/საბიჯი	2,000.00		2,000.00			
1410 4	ფაქსი/საბიჯი	2,000.00		2,000.00			
1410 5	ფაქსი/საბიჯი			70.00			
1410 0001	ფაქსი/საბიჯი			70.00			
1600	ფაქსი/საბიჯი	6,340.00		1,600.00	6,600.00	6,600.00	
1610	ფაქსი/საბიჯი	6,340.00		1,600.00	6,600.00	6,600.00	
1610 1	ფაქსი/საბიჯი	6,340.00		1,600.00	6,600.00	6,600.00	
1610 1 1	ფაქსი/საბიჯი	6,340.00		1,600.00	6,600.00	6,600.00	
1610 1 1 00002	ფაქსი/საბიჯი	2,100.00		2,100.00	2,100.00	2,100.00	
1610 1 1 00002 3	ფაქსი/საბიჯი	3		3		3	
1610 1 1 00002 3	ფაქსი/საბიჯი	1,800.00		1,800.00	1,800.00	1,800.00	
1610 1 1 00002 3 6	ფაქსი/საბიჯი	2		2		2	
1610 1 1 00002 3 6 6	ფაქსი/საბიჯი	4,200.00		1,600.00	2,600.00	2,600.00	
1610 1 1 00002 3 6 6 6	ფაქსი/საბიჯი	6		6		6	
1610 1 2	ფაქსი/საბიჯი	160.00		80.00	80.00	80.00	
1610 1 2 00004	ფაქსი/საბიჯი	160.00		80.00	80.00	80.00	
1610 1 2 00004 6	ფაქსი/საბიჯი	40		20	20	20	
1610 1 2 00004 6 6	ფაქსი/საბიჯი	80.00		80.00	80.00	80.00	
1610 1 2 00004 6 6 6	ფაქსი/საბიჯი	80.00		80.00	80.00	80.00	
1610 1 2 00004 6 6 6 6	ფაქსი/საბიჯი	20		20	20	20	
10000	ფაქსი/საბიჯი	2,835.73		11,180.80	8,345.00		83
10000 3	ფაქსი/საბიჯი	2,835.73		11,180.80	8,345.00		83
3110	ფაქსი/საბიჯი	2,950.93		10,974.80	8,223.87		83

თუ გსურთ დოკუმენტის პრინტერზე დაბეჭდვა დააჭირეთ ღილაკს -  , ხოლო ბეჭდვის გარეშე ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ღილაკს - .

აგრეთვე, შეამჩნევდით, რომ ზემოთ განხილულ ეკრანებზე ჩანს ვეღა დონის ანგარიში. თუ აირჩიეთ ღილაკს -  "ანგარიშების ხის შეკუმშვა F10". იხილავთ ეკრანს:



სადაც ანგარიშების დონეების და სახეობების მანიპულირება შეგიძლიათ იგივე წესით, როგორც განვიხილეთ ანგარიშთა გეგმაში. განსხვავებულია მხოლოდ ბოლო ჩანაწერი, რომლის მონიშნითაც ეკრანზე გამოჩნდება არა სრული, არამედ ანგარიშების მხოლოდ ბოლო დონეები. მაგალითად, თუ ჩართავთ ამ ბრძანებას ბრუნვების ეკრანში, ბრუნვითი უწყისის ექნება შემდეგი სახე:


ანგარიში	ფასობა	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი	საბიჯი
-1110	საბიჯი	1,000.00		70.00	1,400.00	1,330.00	330.00
-1210 2	საბიჯი	4,000.00		2,006.00	2,006.00	6,016.00	
-1210 4	საბიჯი	2,000.00				2,000.00	
-1220	საბიჯი	1,800.00		650.93	1,179.07	1,179.07	
-1410 4	საბიჯი	2,006.00		2,006.00			
-1420 0001	საბიჯი			70.00		70.00	
-1610 1 1 00002	საბიჯი	2,100.00		2,100.00	2,100.00		3.000
-1610 1 1 00003	საბიჯი	1,800.00		1,800.00	1,800.00		2.000
-1610 1 1 00005	საბიჯი	4,200.00		1,600.00	2,600.00	2,600.00	5.000
-1610 1 2 00004	საბიჯი	160.00		80.00	80.00		40.000
-1610 2 00004	საბიჯი	80.00		80.00	80.00		20.000
-3110 3	საბიჯი	2,050.93		10,974.80	8,823.87		8,823.87
-3330	საბიჯი			306.00	306.00		306.00
-2040	საბიჯი			794.00	794.00		794.00
-8160	საბიჯი	7,000.00					7,000.00
-8110	საბიჯი			1,700.00	1,700.00		1,700.00
-7210	საბიჯი			1,600.00	1,600.00		1,600.00
		7,000.00		7,000.00	18,687.73	18,687.73	10,229.87
							18,223.87

ხოლო ანგარიშთა გეგმის პირვანდელ მდგომარეობაში დასაბრუნებლად კვლავ აირჩიეთ ანგარიშების ხის შეკუმშვის ლილვი და გადანიშნეთ ველი “ვაჩვენოთ ანგარიშების მხოლოდ ბოლო დონეები”.


საცდელი ბალანსი

ანგარიშთა გეგმაში ბოლო ბარათია “შედეგები”, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ ნახოთ თქვენი საბუღალტრო ოპერაციების შედეგად გამოყვანილი საცდელი ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი.

პირველ რიგში პროგრამა გაჩვენებთ საცდელ ბალანსს. თუ იგი სათანადოდ არის აწყობილი და გატარებებშიც ყველაფერი წესრიგშია, მაშინვე იძლევა სწორ შედეგს. მაგრამ, თუ რაიმე მიზეზის გამო, მაგალითად, დარღვეულია ბალანსი ან შესრულებულია უარყოფითი სალდოს გატარებები, ჯერ ეკრანზე გამოვა შეტყობინება ამის შესახებ:




დისბალანსის შესაძლო მიზეზების გასარკვევად უნდა დააჭიროთ Yes - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც მოცემული იქნება ეს მიზეზები:




ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, თქვენ უნდა შეეცადოთ აღმოფხვრათ ყველა მიზეზი, რის შემდეგაც პროგრამა ყოველგვარი შეტყობინებების გარეშე გაჩვენებთ სწორ შედეგს.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოცემულ მომენტში. ჩვენს მიერ წინა თავში შესრულებული ოპერაციების შემდეგ, თუ აირჩევთ ბარათს “შედეგები”, გამოვა შემდეგი შეტყობინება:



ამ ეკრანიდან გამომდინარეობს, რომ 1) სალაროდან გადაგვიხდია 330 ლარით მეტი თანხა, ვიდრე რეალურად სალაროში გვექონდა. 2) სანამ ანგარიშვალდებული პირი დააბრუნებდა ვალს 70 ლარს, მანამდე მასზე არ იყო შესრულებული თანხის გაცემის ოპერაცია.

თუ მოცემულ ეკრანზე დააჭერთ OK - ს. იხილავთ შესრულებული ოპერაციების შედეგად მიღებულ სტანდარტული ფორმის საცდელ ბალანსს:





როგორც ეკრანზე ხედავთ, უარყოფითი სალდოს თანხები, ანგარიშებზე ზის მინუს ნიშნით.

ზემოთ მოყვანილ ეკრანზე - ლილვის დახმარებით შეგიძლიათ გაცნობთ ინსტრუქციას, თუ როგორ მიიღება პროგრამაში საცდელი ბალანსი:







როგორც ინსტრუქციიდან გამომდინარეობს, საცდელი ბალანსი მიიღება პროგრამაში არსებული სამი ცხრილის საფუძველზე: საცდელი ბალანსის ანგარიშები, გადასახური ანგარიშები და სახეობების გადაფარვის ანგარიშები. განვიხილოთ თითოეული მათგანის დანიშნულება.

საცდელი ბალანსის ანგარიშები. ამ ანგარიშების ნახვა შეგიძლიათ ლილავით - .




როგორც ხედავთ, პროგრამაში უკვე სტანდარტულად არსებობენ ანგარიშები, რომლებიც მოხვებიან საცდელ ბალანსში იმ შემთხვევაში, თუ მათზე იქნება რაიმე ნაშთი. ეკრანის მარცხენა მხარეს მოთავსებულია აქტივის ანგარიშები, ხოლო მარჯვენა მხარეს - პასივის. მაგრამ,


გაითვალისწინეთ, რომ ანგარიშთა გეგმაში ახალი ანგარიშის დამატება ან წაშლა "საცდელი ბალანსის ანგარიშებში" ავტომატურად არ აისახება. ამიტომ, ამ ცხრილში ანგარიშების დამატება ან წაშლა უნდა მოხდეს თქვენს (მომხმარებლის) მიერ. ანგარიშები დაჯგუფებულია კატეგორიების მიხედვით, რომლებიც მუქი შრიფტით არის გამოყოფილი. თქვენ შეგიძლიათ ახალი კატეგორიის დამატება ლილავით - .

ანგარიშის დამატება ლილავით - . ახალი კატეგორიის ან ანგარიშის დამატების შემდეგ, იგი გაჩნდება სის ბოლოში, რომლის გადაადგილებას საჭირო ადგილზე შესძლებთ ლილავებით -  . აგრეთვე, არ ხართ შეზღუდული არსებული ჩანაწერების კორექტირებაში და წაშლაში, რომლებსაც შეასრულებთ შესაბამისი ლილავებით.

გაითვალისწინეთ ის, რომ ზემოთ განხილული ლილავები აქტივისა და პასივის მხარეებისთვის გამოიყენება ცალ-ცალკე. მაგალითად, თუ ანგარიშის დამატება გინდათ აქტივის მხარეს, მაშინ შესაბამისად უნდა ისარგებლოთ ეკრანის მარცხენა მხარეს მოთავსებული დამატების ლილავით. ხოლო პასივის ანგარიშის დასამატებლად მარჯვენა მხარეს მოთავსებული ანგარიშის დამატების ლილავით.

ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ლილავს OK.

გადასახური ანგარიშები. ამ ანგარიშების ნახვას შესძლებთ თუ აირჩევთ ლილავს - .




სწორედ ამ ცხრილის საფუძველზე სრულდება ანგარიშების გადახურვის ვირტუალური გატარებები. ანუ ცხრილის მარცხენა ნაწილში განლაგებულია ის ანგარიშები, რომელთა ნაშთიც არ უნდა შევიდეს საცდელ ბალანსში. ხოლო მარჯვენა ნაწილში ის ანგარიშები, რომლებითაც უნდა მოხდეს მათი გადახურვა. მაგალითად, ცვეთის ანგარიშები (ხედავთ, რომ მონიშნულია მათი საკრედიტო ნაშთი), განთავსებულია მარცხენა მხარეს. ხოლო მათ გასწვრივ მარჯვენა მხარეს მოთავსებულია ძირითადი საშუალებების ანგარიშები. გადახურვა მოხდება შემდეგი პრინციპით: სისტემა სანამ საცდელ ბალანსს დააფორმირებდეს, შეამოწმებს, არის თუ არა 22 ანგარიშის სუბანგარიშებზე საკრედიტო ნაშთი. თუ იპოვის ასეთ ნაშთს, ვირტუალურად შეასრულებს გადახურვის გატარებას (ანუ რეალურად ეს გატარება არ მოხდება) 21 ანგარიშის შესაბამისი სუბანგარიშებით. გატარებას ექნება სახე:

დებიტო	კრედიტო	თანხა
22XX	21XX	22XX ანგარიშის საკრედიტო ნაშთი

ისევე როგორც საცდელი ბალანსის ანგარიშების ეკრანში, აქაც შესძლებთ ახალი ანგარიშების დამატებას, არსებულის კორექტირებას და წაშლას შესაბამისი ლილაკებით.

სახეობების გადაფარვის ანგარიშები. ამ ანგარიშების ნახვას



შესძლებთ ლილაკით - 



სადაც, უკვე დამატებულია დებიტორებისა და კრედიტორების გადაფარვის ანგარიშები. აქვე შეიძლება დანარჩენი სახეობების ანგარიშების დამატება, შესაბამისი ლილაკებით. სახეობების ანგარიშების გადაფარვის ცხრილი მოქმედებს შემდეგნაირად: საცდელი ბალანსის დაფორმირებამდე, სისტემა მოძებნის გადაფარვის ცხრილში მითითებულ ანგარიშებზე ერთნაირი კოდის და დასახელების ქვეანგარიშებს და უდიდეს ნაშთს გამოაჯღებს უმცირესს, ხოლო სხვაობას შეიტანს საცდელ ბალანსში.


მაგალითად, ეკრანზე მოყვანილი ჩანაწერი მოქმედებს შემდეგნაირად: ერთი და იგივე ორგანიზაცია შეიძლება გასსნილი იყოს ერთდროულად, როგორც 1410, ისე 3110 ანგარიშებზე. რაც ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაცია ჩვენთვის ხან დებიტორია (მაგალითად, რეალიზატორი), ხან კრედიტორი (მაგალითად, მომწოდებელი). თუ ორივე ქვეანგარიშზე არის ნაშთები, დაუშვათ, 1410-ის ქვეანგარიშზე არის 700 ლარი, ხოლო 3110-ის ქვეანგარიშზე - 300 ლარი. პროგრამა საცდელი ბალანსის დაფორმირებამდე, 1410-ის ნაშთს გამოაჯღებს 3110-ის ნაშთს და საცდელ ბალანსში შეიტანს აქტივის მხარეს 400 ლარს.

ეკრანიდან გამოსასვლელად უნდა დააჭიროთ **OK** - ს.


როგორც საცდელი ბალანსის ინსტრუმენტების პანელიდან ჩანს, პროგრამა საშუალებას გაძლევთ დაბეჭდოთ მიღებული საცდელი ბალანსი ლილაკით - . ხოლო ლილაკით - , შეგიძლიათ ექპორტიოთ გაიტანოთ ბალანსი **EXCEL** - ში.


მოგება-ზარალი


მოგება-ზარალის უწყისი პროგრამაში საცდელი ბალანსის ანალოგიურად მიიღება. ანგარიშთა გეგმაში უნდა აირჩიოთ ბარათი **“შედევები”**, ხოლო საცდელი ბალანსის მიღების შემდეგ აირჩიოთ ბარათი **“მოგება-ზარალი”**, რის შემდეგაც ეკრანზე იხილავთ მოგება-ზარალის შევსებულ ფორმას:








ამ ეკრანიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენს მიერ მე-5 თავში შესრულებული ოპერაციების შედეგად გვაქვს მოგება - 100 ლარი.



სისტემაში მოგება-ზარალის მიღების ინსტრუქციას შეგიძლიათ გაცნოთ ღილაკის -  საშუალებით, რომლის არჩევითაც მიიღებთ ეკრანს:




როგორც ხედავთ, მოგება-ზარალის უწყისი ფორმირდება “მოგება-ზარალის ანგარიშების” ცხრილის საფუძველზე. ამ ანგარიშების ნახვას კი შესძლებთ ღილაკით - .




აქაც, როგორც ხედავთ, უკვე არსებობენ ის სტანდარტული ანგარიშები, რომლებიც უნდა მოხდნენ მოგება-ზარალის უწყისში. აგრეთვე, ისევე როგორც საცდელ ბალანსში, აქაც შეგიძლიათ დაამატოთ ახალი დაჯგუფების დასახელება ღილაკით - , ხოლო ახალი ანგარიში ღილაკით - . ახალი კატეგორიის ან ანგარიშის დამატების შემდეგ, იგი გაჩნდება სიის ბოლოში, რომლის გადაადგილებას საჭირო ადგილზე შესძლებთ ღილაკებით -  . ხოლო არსებული

დაჯგუფების კორექტირებას და არა საჭირო ანგარიშის წაშლას შესძლებთ შესაბამისად ღილაკებით -  და .

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საცდელი ბალანსის და მოგება-ზარალის უწყისების ფორმირებისას პროგრამა რეალურად არ ასრულებს გატარებებს. ამიტომ, რეალურად, როცა საჭირო გახდება საბოლოო ბალანსის შედგენა და მოგება-ზარალის გამოყვანა, ანგარიშებზე უნდა შესრულდეს ის გატარებები, რომლებსაც პროგრამა ვირტუალურად ასრულებს საცდელი ბალანსის შედგენის დროს. ცხადია, ამ გატარებების სათითაოდ შესრულება შრომატევადია. ამისათვის, პროგრამაში აწყობილია ოპერაციები, რომლებიც ავტომატურად ასრულებენ გადახურვის გატარებებს. კერძოდ, ესენია: ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიშების გადახურვა, დებიტორების და კრედიტორების ანგარიშების გადახურვა, წლიური მოგება-ზარალის დახურვა. ამ ოპერაციების ნახვა და შესრულება შეგიძლიათ სისტემაში არსებულ ე.წ. სამეურნეო ოპერაციებში. რომლის გამოძახებას შესძლებთ ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების

პანელზე ღილაკით -  “სამეურნეო ოპერაციების შესრულება / აწყობა Ctrl+3”:



ეკრანის ზედა ნაწილში განლაგებულია პროგრამაში აწყობილი სამეურნეო ოპერაციები. ჩვენს შემთხვევაში, ანუ ხარჯების და

შემოსავლების, დებიტორების და კრედიტორების და მოგება-ზარალის გამოსაცხადად უნდა გამოიყენოთ ბოლო სამი ოპერაცია. რომლებიც უკვე რეალურად შეასრულებენ გადახურვის გატარებებს.

სამეურნეო ოპერაციების სხვა შესაძლებლობები კი დაწვრილებით განხილულია მე-12 თავში "სამეურნეო ოპერაციები".


მემორიალური ორდერი


მემორიალური ორდერი არის ბრუნვების დაჯგუფება ოპერაციის ტიპის მიხედვით. გატარების შესრულების დროს ნომერი ენიჭება ბრუნვას და სისტემა საშუალებას იძლევა ეს ბრუნვები დაგანახოთ მემორიალური ორდერის ნომრის მიხედვით.

საჭირო მემორიალები ბრუნვებს ენიჭებათ გატარების დამატების დროს ველში "მემორიალი".


თუ თქვენ ჩვენთან ერთად შეასრულეთ მე-5 თავში მოყვანილი გატარებები, შეამჩნევდით, რომ გარკვეული ტიპის გატარებებს პირობითად მივანიჭეთ სხვადასხვა მემორიალები. მაგალითად, ყველა სალაროსთან დაკავშირებულ გატარებას მემორიალი - 1, ბანკთან დაკავშირებულ გატარებებს - 3 და ა.შ.

ესლა ვნახოთ, როგორ დააჯგუფებს პროგრამა ბრუნვებს, გატარებაში მითითებული მემორიალების მიხედვით. ამისათვის, გატარებების ეკრანში


აირჩიეთ ლილავი -  "მემორიალური ორდერი". იხილავთ ეკრანს:




როგორც ხედავთ, ეკრანზე თავმოყრილია ყველა იმ გატარების


ბრუნვა, რომლებიც შესრულებული იყო მე-5 თავში № 1 მემორიალით, რადგანაც ველში "მემორიალი" მითითებულია - 1. სხვა მემორიალის სანახავად უნდა ისარგებლოთ ამ ველის ლილავებით - .


აგრეთვე, ხედავთ, რომ ეკრანზე ჩანს მხოლოდ პირველი დონის ანგარიშები. ეს იმიტომ, რომ ველში "ანგარიშის დონე" მითითებულია

- 1. თუ ლილავების -  გამოყენებით ამ ველში მიუთითებთ, მაგალითად,


4-ს, ეკრანზე იხილავთ №1 მემორიალით დაჯგუფებულ მე-4 დონის ანგარიშებს:




ყურადღება მიაქციეთ ველს "ანგარიშისთვის". თუ ამ ველში მიუთითებთ, მაგალითად, ანგარიშს - 1110, მაშინ მემორიალი დაჯგუფდება ამ ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების მიხედვით. ანგარიშის მითითებას შესძლებთ ლილავით - ,


ხოლო შემდეგ დაჭირეთ ეკრანის განახლების ლილავს - .


ეკრანზე იხილავთ:




როგორც ვთქვით, სისტემამ დააჯგუფა გატარებები 1110 ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების მიხედვით.

ზემოთ მოყვანილი ყველა მემორიალური ორდერი ნაჩვენებია ლარში. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ იგი სხვა ვალუტაშიც. ამისათვის, უნდა მონიშნოთ ველი “ექვივალენტში” და ლილავის -  დახმარებით აირჩიოთ სასურველი ვალუტა, მაგალითად, USD. ეკრანზე იხილავთ მემორიალურ ორდერს, რომლის ყველა თანხა გადაყვანილი იქნება დოლარში, გატარების შესრულების თარიღის კურსით:





აქაც ისევე როგორც სხვა ეკრანებში შეგიძლიათ დაბეჭდოთ მემორიალური ორდერი ბეჭდვის ლილავის -  გამოყენებით. ორდერის ნაბეჭდ ფორმას ექნება შემდეგი სახე:

მემორიალური 1				დათარიღებული: 2005.01.01		გვ. 1	
სადებეტო ანგარიში				საკრედიტო ანგარიში		თანხა	
1110	ნაღდი ფული	1430 0001	38.46	3110 3	სხვ. "ვიდეო"	1110	769.23
				X-სი		38.46	
				X-სი		769.23	




თუ თქვენ მემორიალური ორდერის ეკრანში მონიშნავთ, რომელიმე თანხას და აირჩევთ ლილავს -  მონიშნული თანხის გატარებაში, პროგრამა გაჩვენებთ გატარებების ეკრანს, გაფილტრულს ამ თანხის გატარებებით.



ჭადრაკული უწყისი


ჭადრაკული უწყისის სანახავად გატარებების ეკრანში აირჩიეთ ლილავი -  “ჭადრაკული უწყისი F7”. იხილავთ ეკრანს:



როგორც ეკრანზე ხედავთ, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშების გადაკვეთაზე მოთავსებულია ამ ანგარიშების საბოლოო ბრუნვები.

ეკრანში მარჯვნივ გადაადგილებას შესძლებთ ლილავებით -   , რომელთაგან პირველი ლილავის გამოყენებით გადაადგილებით ერთი უჯრით, მეორე - ერთი გვერდით, ხოლო მესამე ლილავით - დადებით უწყისის ბოლო უჯრაზე. ეკრანში ქვემოთ გადაადგილებას შესძლებთ

ლილავების -   გამოყენებით. გადაადგილების პრინციპი აქაც იგივეა რაც წინა შემთხვევაში.

მოცემულ ეკრანზე ბრუნვები ნაჩვენებია USD - ში, რადგანაც მონიშნულია ველი “ექვივალენტში” და არჩეულია დოლარის აბრევიატურა. ვალუტის შეცვლას შესძლებთ ლილავით - . ჩამოიშლება პროგრამაში არსებული ვალუტების სია, სადაც აირჩიეთ მაგალითად, ქართული ლარი, ხოლო თუ აგრეთვე მონიშნავთ ველს “ნომინალში”, ეკრანზე იხილავთ მხოლოდ სალარე ბრუნვებს:

სტოკის მნიშვნელობა	1000	1100	1110	1400	1410	1410 4	საშუალო
1000	2,156.00			2,076.00	2,006.00	2,006.00	12,422.00
1100	70.00			70.00			70.00
1110	70.00			70.00			70.00
1200	2,006.00			2,006.00	2,006.00	2,006.00	2,006.00
1210	2,006.00			2,006.00	2,006.00	2,006.00	2,006.00
1210 3	2,006.00			2,006.00	2,006.00	2,006.00	2,006.00
1400							2,006.00
1410							2,006.00
საშუალო	5,156.00	1,400.00	1,400.00	2,076.00	2,006.00	2,006.00	

ყოველი სტრიქონის გასწვრივ, ეკრანის მარჯვენა მხარეს, ნაჩვენებია ანგარიშების შესაბამისი სადებეტო ბრუნვების ჯამი. ხოლო ყოველი სვეტის ქვევით, ეკრანის ქვედა ნაწილში, ნაჩვენებია ანგარიშების საკრედიტო ბრუნვების ჯამი.

ჭადრაგულ უწყისში, ნებისმიერი ჯამური ციფრის გამოფერა არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ დააჭერთ 1000 ანგარიშის საკრედიტო ბრუნვების ჯამს - 5156, ეკრანზე იხილავთ ყველა იმ გატარებას, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა ეს რიცხვი:

მსაკაპიტო	თარიღი	საბა. ანგარიში	გაბ. ანგარიში	მანძ.	კაპი	კრედიტ	ბალანსი	ბალანსი	კომენტო	კომენტო	სტატუსი	საშუალო
	21.02.2006	1110	6-1430 0001	2	70.00 GEL				3000-ანგარიშ ანგარიშზე			
3	26.02.2006	1210	8-1610 1 00005	2	1,600.00 GEL		2,000	9300	800-F1060 4	დადასტურდა კომპანიის		
3	26.02.2006	1210 3	1-1410 4	3	2,006.00 GEL				800-F1060 3	გადასტურდა რეპორტაჟი		
5	26.02.2006	1610 2 00004	9-1610 1 2 00004	9	80.00 GEL				800-F1060 3	გადასტურდა ვაჭარის		
6	26.02.2006	3110 3	3-1110	6	1,400.00 GEL				800-F1060 1	გადასტურდა ბიზნესის		
საშუალო					5,156.00 GEL							

ჭადრაგულ უწყისში დასაბრუნებლად კვლავ აირჩიეთ ლილავი - . ნებისმიერი ბრუნვის შესაბამისი გატარებების სანახავად კი უნდა მონიშნოთ თქვენთვის საინტერესო ბრუნვა და ისარგებლოთ ლილავით - **მონიშნული თანხის გატარება**. ამ შემთხვევაშიც, ეკრანზე გამოჩნდება მხოლოდ ის გატარებები, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა ეს რიცხვი.

ზემოთ მოყვანილ ჭადრაგული უწყისის ეკრანებზე, ჩანს ყველა

დონის ანგარიში. თუ აირჩევთ ლილავს - "ანგარიშების ხის შეკუმშვა F10". იხილავთ ეკრანს:

აჩვენებთ	აჩვენებთ	აჩვენებთ
<input type="checkbox"/>	ანგარიშების შეკუმშვის დონა	70.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის ანგარიშები	2,006.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის სასაქონლო ანგარიშები	2,006.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის მანუფაქტურის ანგარიშები	2,006.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის ანგარიშები	2,006.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის დასრულებული ანგარიშები	2,006.00
<input checked="" type="checkbox"/>	პარანომოლოგიის ანგარიშების მხოლოდ გრძელ დონებზე	


სადაც ანგარიშების დონების და სახეობების მანიპულირება შეგიძლიათ იგივე წესით, როგორც განვიხილეთ ანგარიშთა გეგმაში. ველებს "პროექტი" და "ანგარიში" გამოყენებას შესაძლებელი იგივე პრინციპით, როგორც განვიხილეთ მემორიალურ ორდერში.


ჭადრაგული უწყისის დაბეჭდვა შეგიძლიათ ბეჭდვის ლილავის - გამოყენებით. ნაბეჭდ ფორმას ექნება შემდეგი სახე:

საბა. ანგარიში	თარიღი	საბა. ანგარიში	გაბ. ანგარიში	მანძ.	კაპი	კრედიტ	ბალანსი	ბალანსი	კომენტო	კომენტო	სტატუსი	საშუალო
	21.02.2006	1110	6-1430 0001	2	70.00 GEL				3000-ანგარიშ ანგარიშზე			
3	26.02.2006	1210	8-1610 1 00005	2	1,600.00 GEL		2,000	9300	800-F1060 4	დადასტურდა კომპანიის		
3	26.02.2006	1210 3	1-1410 4	3	2,006.00 GEL				800-F1060 3	გადასტურდა რეპორტაჟი		
5	26.02.2006	1610 2 00004	9-1610 1 2 00004	9	80.00 GEL				800-F1060 3	გადასტურდა ვაჭარის		
6	26.02.2006	3110 3	3-1110	6	1,400.00 GEL				800-F1060 1	გადასტურდა ბიზნესის		
საშუალო					5,156.00 GEL							

დოკუმენტალური ბრუნვა


დოკუმენტალური ბრუნვა არის თანხების დაჯგუფება ოპერაციის დოკუმენტის ნომრის მიხედვით. გატარების შესრულებისას სისტემა გაძლევთ საშუალებას აირჩიოთ, თუ რა ტიპის დოკუმენტით გსურთ შეასრულოთ ესა თუ ის გატარება და რომელ დოკუმენტს დაუკავშიროთ იგი. რაც ჩვენ უკვე განვიხილეთ მე-5 თავის ქვეთავში **“გატარებები დაკავშირებული დოკუმენტებით (პირველადი დოკუმენტების გაძილა)”**. გატარებების დოკუმენტის ნომრების მიხედვით დაჯგუფებული ბრუნვების სანახავად, გატარებების ეკრანში უნდა აირჩიოთ ლილაკი -

 **“დოკუმენტალური ბრუნვა (90 დღე) F8”**. ეკრანზე იხილავთ:




დოკუმენტი	ტიპი	თანხა	დაფარულია	სხვაობა
1	GEL	70.00		70.00
2	GEL	3,020.80		3,020.80
3	GEL	5,612.00		5,612.00
4	GEL	2,124.00		2,124.00
5	GEL	80.00		80.00
7	USD	1,000.00		1,000.00
8	DEM	700.00		700.00
აა-04 789456 ანაბრის-გ	GEL	3,900.00	1,400.00	2,500.00
მიჯნა:	DEM	700.00		700.00
	GEL	14,806.80	1,400.00	13,406.80


როგორც ეკრანზე ხედავთ, სისტემამ მართლაც დააჯამა გატარებების თანხები თითოეული დოკუმენტისა და ვალუტის მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში გვინტერესებს დოკუმენტის ნომრით - აა-04 789456 შესრულებული ოპერაცია. ამ დოკუმენტით შესრულებული იყო ორი გატარება, ხოლო შემდგომ დაფარული იყო თანხის ნაწილი - 1400 ლარი (იხილეთ მე-5 თავი), რაც ნათლად ჩანს მოცემულ ეკრანზე. თუ მონიშნავთ ამ ჩანაწერს, ეკრანის მარჯვენა მხარეს გამოჩნდება თანხის დაფარვის ოპერაცია:




დოკუმენტი	ტიპი	თანხა	დაფარულია	სხვაობა
1	GEL	70.00		70.00
2	GEL	3,020.80		3,020.80
3	GEL	5,612.00		5,612.00
4	GEL	2,124.00		2,124.00
5	GEL	80.00		80.00
7	USD	1,000.00		1,000.00
8	DEM	700.00		700.00
აა-04 789456 ანაბრის-გ	GEL	3,900.00	1,400.00	2,500.00
მიჯნა:	DEM	700.00		700.00
	GEL	14,806.80	1,400.00	13,406.80

ველის **“დიაპაზონი”** პირველი თარიღი ემთხვევა ანალიზური პერიოდის პირველ თარიღს, ხოლო მეორე თარიღში პროგრამა სვავს კომპიუტერის მიმდინარე თარიღს. აქედან გამომდინარე, პროგრამა დოკუმენტალურ ბრუნვებს განიხილავს მიმდინარე დღის მდგომარეობით.

ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე არის ლილაკი -  **90 დღე**, რომლის გამოყენებითაც შეგიძლიათ აკონტროლოთ თანხის ის დაფარვები, რომლებიც გადასცდა 90 დღეს. თუ თქვენ მითითებული დიაპაზონისთვის გამოიყენებთ ამ ლილაკს (დააჭირეთ მასზე, დაინახავთ, რომ იგი შეიცვლის ფერს), ეკრანიდან გაქრება ყველა ჩანაწერი. ეს იმიტომ, რომ ამ დიაპაზონში არ არის ისეთი თანხები, რომელთა დაფარვის ვადა გადასცდა 90 დღეს. რადგანაც ოპერაციები შესრულებული იყო დიაპაზონში 21.02.2006 - 27.02.2006, კერძოდ, დაკავშირებული დოკუმენტით საქონლის შექმნის ოპერაცია შესრულდა 26.02.2006 - ში, ჩვენი შემთხვევისთვის მიმდინარე თარიღი კი არის 30.03.2006, ე.ი. 26.02.2006 - დან ჯერ არ გასულა 90 დღე.

თუ შეცვლით დიაპაზონის მეორე თარიღს, დააყენებთ, მაგალითად, 12.06.2006 - ს (თარიღის შესაცვლელად აკრიფეთ სასურველი თარიღი შესაბამის ველში ან ისარგებლეთ ლილაკით - ) , ეკრანზე კვლავ გამოჩნდება ყველა ჩანაწერი. ანუ მითითებული დიაპაზონისთვის მთლიანი თანხის გადახდის ვადა გადასცდა 90 დღეს.

ბრძანების -  **90 დღე** გამოსართავად, კვლავ უნდა დააჭიროთ მასზე **“თავი”** - ს მარცხენა ლილაკით.


ველს **“ექვივალენტში”** და ფილტრის ლილაკს აქვს იგივე დანიშნულება აქვს, რაც წინა შემთხვევაში.


ხოლო დოკუმენტალური ბრუნვის დაბეჭდვას შესძლებთ შესაბამისი ღილაკით, რომლის ნაბეჭდ ფორმას აქვს შემდეგი სახე:

ფოს.	ტანი	თანა	ფაზარულია	საბოლო
1		GEL 70.00		70.00
2		GEL 3,020.80		3,020.80
3		GEL 5,612.00		5,612.00
4		GEL 2,124.00		2,124.00
5		GEL 80.00		80.00
7		USD 1,000.00		1,000.00
8		DEM 700.00		700.00
სა-04 789456	ანგარიშ-ვაჭარა	GEL 3,900.00	1,400.00	2,500.00
თანალი		ფოს.	ტანი	ფაზარულია
26.02.2006		6	ბაზალა	1,400.00 GEL
		DEM	700.00	700.00
		GEL	14,806.80	1,400.00 13,406.80
		USD	1,000.00	1,000.00


ფულადი სახსრების მოძრაობა (Cash Flow)


პროგრამა საშუალებას გაძლევთ თვალი გადაევნოთ ფულადი სახსრების მოძრაობას. ამისათვის, პროგრამაში არის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი - **Cash Flow**, რომელიც ორგანიზაციაში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებას წარმოადგენს. მაგალითად, გაინტერესებთ სულ რამდენი თანხა შემოვიდა მყიდველებისგან, რა თანხის გადასახადებია გადახდილი და ა.შ. მართალია, ამ ინფორმაციის მიღება შეიძლება ანგარიშების ნაშთებიდანაც, მაგრამ უფრო მოხერხებულია მათი ცალკე ფორმის სახით წარმოდგენა.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის მისაღებად გატარებების ეკრანში უნდა აირჩიოთ ღილაკი -  **"Cash Flow"**. იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:





როგორც ეკრანზე კითხულობთ, ფულადი სახსრების მოძრაობის სრული უწყისის (დაჯგუფებული შემოსავლებისა და ხარჯვის კატეგორიების მიხედვით) მისაღებად აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი კატეგორიები თითოეული ისეთი გატარების ანალიზურ ველში, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ფულადი სახსრების (სალაროს, ბანკის) ანგარიშები.

თუ გაფრთხილების ეკრანზე მონიშნავთ ველს **"ალარ გამოვიყვანოთ ეს შეტყობინება"**, მომავალში **Cash Flow** - ს დაფორმირებისას ეს ეკრანი აღარ გამოვა. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს - . ეკრანზე იხილავთ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს:



ველის **"საწყისი"** გასწვრივ მითითებულია სალაროსა და ბანკის საწყისი ჯამური ნაშთი. **"საღებავო ბრუნვები"** - ს გასწვრივ სალაროსა და ბანკში მთლიანად შემოსული თანხები. **"საკრედიტო ბრუნვები"** - ს გასწვრივ კი სალაროსა და ბანკიდან მთლიანად გასული თანხები. თითოეული ჯამური ბრუნვის ქვეშე გაშიფრულია, რა კატეგორიის თანხებისგან არის მიღებული ეს ბრუნვები. მოცემულ მომენტში, ყველა ბრუნვა მოხვდა უკატეგორიო გატარებებში. ანუ ეს ბრუნვები არ არის დაყოფილი კატეგორიების მიხედვით. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში სალაროს და ბანკის გატარებებში (რომლებიც შევასრულეთ მე-5 თავში) არ არის მითითებული შესაბამისი შემოსავლის და ხარჯვის კატეგორიები.

პროგრამაში უკვე არსებობს ე.წ. შემოსავლის და ხარჯვის კატეგორიები. რომელთა ნახვას შესძლებთ ღილაკით - :




ამ ეკრანში შეგიძლიათ დაამატოთ ახალი კატეგორიები ღილაკებით - "მენიუ" და "ქვემენიუ". აგრეთვე, გააკორექტიროთ ან წაშალოთ არსებული ჩანაწერი, მოძებნოთ სასურველი ან გადაადგილოთ საჭირო ადგილზე შესაბამისი ღილაკებით.

ეკრანიდან გამოსასვლელად დააჭირეთ **OK** - ს, თუ მასში შეიტანეთ ცვლილებები და გინდათ მათი დამახსოვრება, ან **Cancel** - ს.

Cash Flow - ს უწყისში სალაროსა და ბანკის ანგარიშები თავიდანვე არის ჩადებული. ამიტომაც, რომ უწყისის დაფორმირებისას ეკრანზე ავტომატურად ღებულობთ მხოლოდ სალაროსა და ბანკის ანგარიშებზე მომხდარ ბრუნვებს. ამ ანგარიშების ნახვა შეგიძლიათ

ღილაკით -



აქვე შეგიძლიათ დაამატოთ თქვენთვის სასურველი ის ანგარიშები, რომლებზეც გინდათ იხილოთ ფულადი სახსრების მოძრაობა.

ესლა ვნახოთ, როგორ შეიძლება თითოეულ გატარებას მივანიჭოთ

საჭირო კატეგორია და შემდეგ პროგრამა როგორ დააფორმირებს **Cash Flow** - ს უწყისის კატეგორიების მიხედვით.


ამისათვის, გატარებების ეკრანში მოძებნეთ ის გატარებები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობს სალაროს და ბანკის ანგარიშები (ეს გატარებები შესრულდა მე-5 თავის განხილვის დროს).

რჩევა: თუ თქვენ შესრულებული გაქვთ ბევრი გატარება, სადაც შესაბამისი კატეგორიები არ არის მითითებული. უნდა მოძებნოთ ყველა გატარება, რომლებშიც უნდა მიეთითოს ეს კატეგორიები. იმისათვის, რომ არ მოგინოთ ყველა გატარებებს შორის საჭიროების ძებნა, უმჯობესია ისარგებლოთ ანგარიშების ბარათებით. ანუ ჯერ გამოიტანეთ 1100 ანგარიშის ბარათი და მიყოლებით ჩავკორექტირეთ თითოეული მათგანი. შემდეგ 1200 ანგარიშში.

ესლა ერთ-ერთი, მე-5 თავში შესრულებული გატარების მაგალითზე ვნახოთ, როგორ შეიძლება მასზე საჭირო კატეგორიის მინიჭება. გააკორექტირეთ ბანკში თანხის შემოსვლის გატარება. მიღებულ ეკრანზე


ანალიზური ველის გასწვრივ აირჩიეთ ღილაკი -

იხილავთ შემოსავლებისა და ხარჯვის კატეგორიების სიას, სადაც კურსორით მონიშნეთ **"კატ - მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები"** და დააჭირეთ **OK** - ს. დაინახავთ, რომ გატარების ანალიზურ ველში ჩაჯდება ამ კატეგორიის აბრევიატურა:





დააჭირეთ **OK** - ს. იგივე წესით მიანიჭეთ სასურველი კატეგორიები დანარჩენ გატარებებსაც.

შემდეგ დააფორმირეთ Cash Flow - ს უწყისი ლილაკით - .



როგორც ეკრანზე ხედავთ, სისტემამ აჯამა და დაალაგა სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები კატეგორიების მიხედვით.


მოცემულ ეკრანზე უწყისი არის გაშლილი სახის, ანუ ცალ-ცალკეა გამოტანილი სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ უწყისის შეკუმშული ვარიანტიც. ამისათვის, უნდა დააჭიროთ ლილაკს - .



ამ შემთხვევაში გასავალი მოცემულია მინუს ნიშნით. აგრეთვე, უდიდეს ბრუნვას გამოაკლდა უმცირესი და სხვაობა მითითებულია შესაბამის ველში.

Cash Flow - ს უწყისის სხვა ვალუტაში, სხვა პროექტში და ნებისმიერი მონიშნული თანხის გატარებებს ნახავთ ზუსტად იგივენაირად, როგორც მემორიალურ და ჭადრაკულ უწყისებში. აგრეთვე, შესძლებთ

უწყისის ექსპორტით გატანას EXCEL - ში ლილაკით - .

დაბეჭდვას შესძლებთ ლილაკით - . უწყისის ნაბეჭდ ფორმას (გაშლილი ვარიანტი) აქვს შემდეგი სახე:

კატეგორია / დეტალიზაცია		თანხა
საღებავი ბრუნვა		2,076.00
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოპოვება		2,076.00
მიმდევლობიდან მიღებული ფულადი სახსრები		2,076.00
საკრედიტო ბრუნვა		1,400.00
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოპოვება		1,400.00
მიმდევლობიდან და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		1,400.00
საბოლოო		7,676.00

კონსოლიდაცია

როგორც უკვე იცით პროგრამის საშუალებით შეიძლება რამოდენიმე დამოუკიდებელი ბუღალტერიის წარმოება.

ეს საშუალება შეიძლება გამოიყენონ ისეთმა დიდმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ რამოდენიმე ფილიალი და უნდათ ბუღალტერია აწარმოონ სხვადასხვა ფილიალისთვის ცალ-ცალკე, მაგრამ აგრეთვე, სურთ, პერიოდულად ნახონ ხოლმე ყველა ფილიალის საერთო მდგომარეობა. ამისათვის, ბუღალტერმა შეიძლება გამოიყენოს ე.წ. პროექტები. თითოეული ფილიალი გახსნას პროექტის სახით და ნაშთები ნახოს როგორც ერთი, ისე რამოდენიმე ან ყველა პროექტისთვის (პროექტები დანვრილებით განხილულია მე-8 თავში "პროექტები"). მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ფილიალიც დაყოფილია ქვეფილიალებად, მაშინ პროექტების მცნება ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს ქვეფილიალების აღსარიცხავად, ხოლო თითოეული ფილიალის ბუღალტერიისთვის უნდა შექმნას ორგანიზაციები (საქალაქდებები) ცალ-ცალკე.

პროგრამაში არსებობს ე.წ. კონსოლიდაცია, რომელიც საშუალებას

იძლევა ნახოთ რამოდენიმე ორგანიზაციის, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება შეიცავდნენ სხვადასხვა პროექტებს, კონსოლიდირებული (შეჯამებული) ნაშთები.

ამ საშუალების გამოყენებას შესძლებთ, თუ ძირითადი მენიუდან “ოპერაციები” აირჩევთ ქვემენიუს “კონსოლიდაცია”:



იხილავთ ეკრანს:



როგორც ხედავთ, ეკრანი შედგება სამი ბარათისგან: “ორგანიზაციები”, “ნაშთები”, “ბრუნვები”. რომელთაგან თავიდანვე გააქტიურებულია “ორგანიზაციები”. აგრეთვე, ეკრანის ზედა ნაწილში ველში ზის ჩანაწერი “ანგარიშების კონსოლიდაცია მე-3 დონემდე”, რაც ნიშნავს, რომ პროგრამა გაჩვენებთ კონსოლიდირებულ ნაშთებს, პირველი, მეორე და მესამე დონის ანგარიშებისთვის. - ღილაკების დახმარებით თქვენ შეგიძლიათ შეკუმშოთ ან გაშალოთ ანგარიშთა გეგმა სასურველ დონემდე.

თავიდან ზემოთ მოცემული ეკრანი ცარიელია. დააჭირეთ ეკრანის განახლების - ღილაკს. იხილავთ პროგრამაში შექმნილ ყველა ორგანიზაციას (საქალაქდებს) და ყველა პროექტს რომლებსაც შეიცავენ ეს ორგანიზაციები:



მოცემული მომენტისთვის ჩანს მხოლოდ ის ორი ორგანიზაცია რომლებიც შევქმენით დოკუმენტაციის პირველი თავების განხილვის პროცესში, რომლებიც თავისთავად შეიცავენ მხოლოდ თითო პროექტს, რადგანაც ჯერჯერობით სხვა პროექტები შექმნილი არ არის. აგრეთვე, როგორც ხედავთ, თითოეული ჩანაწერი არის მონიშნული (წინ უზის ალამი), რაც ნიშნავს, რომ პროგრამა გაჩვენებთ ეკრანზე გამოტანილ ყველა ორგანიზაციის და პროექტის კონსოლიდირებულ ნაშთებს. თუმცა თქვენ შეგიძლიათ გადანიშნოთ ის პროექტები ან ორგანიზაციები, რომლის ნაშთები არ გაინტერესებთ.

მოცემულ შემთხვევაში დატოვებთ ყველაფერი მონიშნული და აირჩიეთ ბარათი “ნაშთები”. ეკრანზე იხილავთ ორი ორგანიზაციის “EKO_2005” და “ORIS” კონსოლიდირებულ ნაშთებს:

ანგარიში	დასახელება	მონიშნული	გადასტოვებული	შეიძლება	შეიძლება	შეიძლება	შეიძლება
1000	მიმდინარე აკ	19,887.20		19,887.20			
1100	ნაღდი ფული ს	2,329.80		2,329.80			
1110	ნაღდი ფული ე	2,329.80		2,329.80			
1110	ORIS - მიწოდება	2,659.80		2,659.80			
1110	EKO_2005 - მიწოდება		330.00		330.00		
1200	ფული საბანკო	9,233.00		9,233.00			
1210	ფონდური აკ	9,233.00		9,233.00			
1210	ORIS - მიწოდება	1,227.00		1,227.00			
1210	EKO_2005 - მიწოდება	8,006.00		8,006.00			
1400	გადასტოვებული	614.40		614.40			
1410	მიწოდება BC	684.40		684.40			
1410	ORIS - მიწოდება	684.40		684.40			
1430	EKO_2005 - მიწოდება		70.00		70.00		
1430	მიწოდება BC		70.00		70.00		
1600	საბიუჯეტო-ს	7,710.00		7,710.00			
1610	საბიუჯეტო	7,710.00		7,710.00			
1610	ORIS - მიწოდება	1,050.00		1,050.00			
1610	EKO_2005 - მიწოდება	6,660.00		6,660.00			
3000	მიმდინარე აკ	519.60		519.60			
3100	გადასტოვებული						
3110	მიწოდება BC						
3110	ORIS - მიწოდება						
3130	გადასტოვებული						

როგორც ხედავთ ეკრანზე მოცემულია ანგარიშების საბოლოო ნაშთები როგორც თითოეული ორგანიზაციისთვის ცალ-ცალკე, ასევე

ზედა დონეზე თითოეული ანგარიშისთვის შეჯამებული ნაშთი. მაგალითად, სალაროს ანგარიშზე - №10, "ORIS" - სთვის გვაქვს საბოლოო სადებეტო ნაშთი - 2659.80 ლარი, "EKO_2005" - სთვის კი საკრედიტო ნაშთი 330 ლარი. ხოლო ზედა დონეზე მოცემულია ამ ორი ორგანიზაციის საერთო სალაროს მდგომარეობა - 2329.80 ლარი.

კონსოლიდირებული ნაშთების უწყისს სხვა ვალუტაში, ნაერთში ან ბრუნვის საბოლოო ნაშთს კროსკურსით ნახავთ იგივე პრინციპით, როგორც ზემოთ განხილულ ნაშთების, ბრუნვების და ა.შ. უწყისებში.

კონსოლიდირებული ბრუნვითი უწყისის სანახავად უნდა აირჩიოთ ბარათი "ბრუნვები". იხილავთ ეკრანს, სადაც უკვე გამიფრული იქნება რა ბრუნვების შედეგად წარმოიშვა მიღებული საბოლოო ნაშთები:

ანგარიში	მისამართი	საწყისი		მონაკ		საბოლოო		საწყისი		მონაკ		მ.რ.
		მზანი	სტანდარტი	მზანი	სტანდარტი	მზანი	სტანდარტი	მზანი	სტანდარტი			
1000	ბიზნესი	7,000.00		21,462.40	10,575.20	12,887.20	13,887.20	7,000.00		23,462.40	10,575.20	
1100	საბიზნესი	1,000.00		3,073.00	1,743.20	1,329.00	2,329.00	1,000.00		3,073.00	1,743.20	
1110	საბიზნესი	1,000.00		3,073.00	1,743.20	1,329.00	2,329.00	1,000.00		3,073.00	1,743.20	
1110	ORIS - მონ			3,003.00	343.20	2,659.00	2,659.00			3,003.00	343.20	
1110	EKO_2005 - მონ	1,000.00		70.00	1,400.00	1,330.00		330.00	1,000.00	70.00	1,400.00	
1200	ფინანსები	6,000.00		6,006.00	2,773.00	2,223.00	9,223.00	6,000.00		6,006.00	2,773.00	
1210	ფინანსები	6,000.00		6,006.00	2,773.00	2,223.00	9,223.00	6,000.00		6,006.00	2,773.00	
1210	ORIS - მონ			4,000.00	2,773.00	1,227.00	1,227.00			4,000.00	2,773.00	
1210	EKO_2005 - მონ	6,000.00		2,006.00		2,006.00	8,006.00	6,000.00		2,006.00		
1400	მონიტორინგი			3,693.40	3,079.00	674.40	674.40			3,693.40	3,079.00	
1410	მონიტორინგი			3,693.40	3,079.00	674.40	674.40			3,693.40	3,079.00	
1410	ORIS - მონ			1,687.40	1,003.00	684.40	684.40			1,687.40	1,003.00	
1410	EKO_2005 - მონ			2,006.00	2,006.00					2,006.00	2,006.00	
1430	მონიტორინგი			70.00	70.00			70.00		70.00	70.00	
1430	EKO_2005 - მონ			70.00	70.00			70.00		70.00	70.00	
1600	საბიზნესი			10,690.00	2,980.00	7,710.00	7,710.00			10,690.00	2,980.00	
1610	საბიზნესი			10,690.00	2,980.00	7,710.00	7,710.00			10,690.00	2,980.00	
1610	ORIS - მონ			2,980.00	1,300.00	1,090.00	1,090.00			2,980.00	1,300.00	
1610	EKO_2005 - მონ			8,340.00	1,680.00	6,660.00	6,660.00			8,340.00	1,680.00	
2000	ბიზნესი			4,270.00	3,051.20	519.60	519.60			4,270.00	3,051.20	
2100	ბიზნესი			3,163.00	3,163.00					3,163.00	3,163.00	
2110	ბიზნესი			2,773.00	2,773.00					2,773.00	2,773.00	
2110	ORIS - მონ			2,773.00	2,773.00					2,773.00	2,773.00	
2130	ბიზნესი			390.00	390.00					390.00	390.00	